Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union

2024 წლის შემოდგომის სემესტრისთვის, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სამეცნიერო და შემოქმედებითი კვლევების სამსახური აცხადებს რეგისტრაციას ტრენინგების ციკლზე - **კვლევის პასუხისმგებლიანად წარმართვა - კვლევის ეთიკა და კეთილსინდისიერება**

ტრენინგების ფარგლებში:

მონაწილეები გაეცნობიან კვლევის ეთიკისა და კეთილსინდისიერების ევროპული სტანდარტებს.

ტრენინგების სერია მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- პასუხისმგებლიანი კვლევის კულტურა და მისი ხელშეწყობა;
- პლაგიარიზმის პრობლემები და საზღვრები;
- არაკეთილსინდისიერი კვლევა - გაფრთხილება და აღკვეთა (კარგი კვლევითი გამოცდილებისათვის პირობების შექმნა);
- კვლევაში ჩართული რესპოდენტების დაცვის მექანიზმები;
- არაკეთილსინდისიერ ქცევათა ანგარიშწარმოება და მართვა აკადემიურ და კვლევით გარემოში;
- დარღვევების შემთხვევაში მორალური პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება (გამიჯვნა,დეაქტივაცია) და UKRIO-ს პროცედურები დარღვევებზე რეაგირებისას;
- კვლევის ეთიკის კომიტეტები;
- საავტორო და საგამომცემლო ეთიკა, პოლიტიკის დანერგვა;
- გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოწვევები;
- კვლევის კეთილსინდისიერების ოფიცრის როლი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ტრენინგებს წარუძღვებიან თსს აკადემიის სამეცნიერო და შემოქმედებითი კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, თამარ შავგულიძე და თსს აკადემიის მოწვეული ლექტორი, ქრისტინე დარჩია.

ტრენინგების დაწყების თარიღი - 2024 წლის 10 ოქტომბერი
ტრენინგების ჩატარების ფორმა - ონლაინ

ტრენინგები უფასოა - თსს აკადემიის მაგისტრანტებისთვის, დოქტორანტებისთვის, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისთვის.

ტრენინგზე დასარეგისტრირებლად, თსს აკადემიის კორპორატიული მეილიდან მოგვწერეთ მისამართზე ard.dep@art.edu.ge

რეგისტრაციის ვადა 20 სექტემბერი - 5 ოქტომბერი

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში პროექტი „კვლევის პასუხისმგებლიანად წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში (ETHICS)“ ევროკომისიის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე https://ethics.iliauni.edu.ge/